| პროგრამის აღწერა            | <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდსიტუაციის კონტოლი, გადამდებ დაავადებათა გამოვლენა, ადექვატური რეაგირება და პირველადი პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის მზად ყოფნა; პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:</p> <p>1. ზოგადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას (სამედიცინო სტატისტიკური მუშაობის უზრუნველყოფა, სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელებასა სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად; სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ შემთხვევათა კვლევა ვერბალური აუტოფსიის მეთოდით) და წარდგენა დკსჯე ცენტრში; სამოქმედო არეალში სამედიცინო დაწესებულებების დამხმარე ზედამხედველობა ; დაავადებათა ზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში შემთხვევათა რეგისტრაცია; სამოქმედო არეალში საბიუჯეტო წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისათვის ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ტუბერკულოზზე საექმო შემთხვევების მონიტორინგი, ანტირაბიული ღონისძიებების ორგანიზება, საჭიროებისას მალარიის დიაგნოსტიკა მოიცავს - სისხლის სქელი წვეთის აღება და ლაბორატორიული კვლევა, 2-10 წლამდე ასაკის ბავშვთა კონტიგენტის გამოკვლევები ჰელმინთებზე. მალარიის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიების გატარება, კერძოდსაცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდებით დამუშავება .</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <p>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)</p> <p>2 იმუნიზაცია.</p> <p>3 2-10 წლამდე ბავშვთა კონტიგენტის ჰელმინთებზე გამოკვლევა</p> <p>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> |   |                                  |
| პროგრამის მიზანი            | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;   |   |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი          | მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება   |   |                                  |

## სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.



| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|---|----------------------------------|
|                                       | 06 02 01  |   | 91,7                             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური  |   |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს:</p> <p>ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებას:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 100 001 ქულამდე-პაციენტის გადასახდელი თანხის -40%; თანადაფინანსება განისაზღვრება არანაკლებ 100(ასი) და არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა.</p> <p>ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 100 001 ქულიდან 200 000-მდე- პაციენტის გადასახდელი თანხის -30 %; თანადაფინანსება განისაზღვრება არანაკლებ 100(ასი) და არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა.</p> <p>გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 200 000 ქულის ზევით ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტისას(როცა შეფასების შეწყვეტისას და ოჯახი რომელიც არ იძებნება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში -პაციენტის გადასახდელი თანხის-20%.</p> <p>თანადაფინანსება განისაზღვრება არანაკლებ 100(ასი) და არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.</p> <p>გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება გაეწევათ წელიწადში ერთხელ.</p> <p>ქვეპროგრამით არ ფინანსდება:</p> <p>ა) საზღვარგარეთ გაწეული ქირურგიული ოპერაციის ხარჯები;</p> <p>ბ) ესთეტიკური ქირურგია კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული;</p> <p>გ) კერძო სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეული მოქალაქეების ქირურგიული ოპერაცია;</p> <p>დ) პაციენტის მიერ გადახდილი თანხა.</p> <p>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100; კალკულაცია; საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი(გეგმიური ქირურგიული ოპერაცია); დაბადების მოწმობის ასლი(საჭიროების შემთხვევაში); შესრულებული ქირურგიული ოპერაციისას ცნობა ან სხვა დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება) სამედიცინო დაწესებულებიდან გადასახდელი დავალიანების (გადავადების ) თაობაზე; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.</p> <p>2. სამედიცინო კვლევის თანადაფინანსება 50%, არაუმეტეს 350 ლარისა.</p> <p>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის</p> |   |                                  |





მოწმობის ასლი; დაბადების მოწმობის ასლი(არასრულწლოვნის შემთხვევაში); კალკულაცია; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100.

3.0-5 წლამდე ბავშვებისა და ასაკის პენსიონერების გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების-პაციენტის გადასახდელი თანხის სრული გადახდა ადგილობრივ ჰოსპიტალში;

დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; დაბადების მოწმობის ასლი(არასრულწლოვნის შემთხვევაში); კალკულაცია; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100.

4.ონკოლოგიურ პაციენტებზე კტ, მრტ და ბიოფსიის დაფინანსება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%, არაუმეტეს 400 ლარისა.

დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; კალკულაცია; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100; საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი(არსებობის შემთხვევაში).

5.ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე, შედგენილი სამოქმედო გეგმის (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამით დაფინანსება განხორციელდეს სრულად.

6.სამკურნალო და საოპერაციო თანადაფინანსების დროს (გარდა მე-3 პუნქტისა) ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია ბენეფიციარზე გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად, რომლის გამოყენების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღით.

დაფინანსების გადარიცხვისთვის სამედიცინო დაწესებულებამ შესრულებული სამუშაო უნდა წარმოადგინოს სამედიცინო ჩარევის ჩატარებიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

|                    |   |
|--------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა |
|--------------------|---|

| პროგრამის დასახელება                  | კოდი     | კომუნალური გადასახადები  | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|----------|--|----------------------------------|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | 06 02 02 | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | 20.0                             |
| ქვეპროგრამით ისარგებლებენ:            |          |  |                                  |



|                            |  |
|----------------------------|--|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ა) 2006 წლიდან შპს „საქნახშირი“ შახტაში დაღუპულთა და დაზარალებულთა (რომლებსაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით წელიწადში 6 თვის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ნოემბერი და დეკემბერი);</p> <p>კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან.</p> <p>ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მხედველობით პირველი ჯგუფის შშმ პირები ყოველთვიურად 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით;</p> <p>კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის არსებული მონაცემთა ბაზებიდან. დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია აბონენტის ნომერი და ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ.</p> <p>გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 001 ქულამდეა - ყოველთვიური 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით.</p> <p>კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან. დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან და აბონენტის ნომერი.</p> <p>დ. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად მდგომარეობის გაუმჯობესებამდე, მოხდეს კომუნალური გადასახადის დაფინანსება, არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარისა.</p> |
| მოსალოდნელი შედეგი         | <p>ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების კომუნალური გადასახადების გადახდის</p> <p>ხელმისაწვდომობა</p>   |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი     | ომის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა  | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|----------|---|----------------------------------|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | 06 02 03 | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური  | 15,1                             |
|                                       |          | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს:</p> <p>ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებზე ყოველთვიური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;</p> |                                  |



ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ, უგზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა და ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარებას

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 100 (ასი) ლარის ოდენობით;

გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების გამო ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეების დახმარებას ჩერნობილის დღესთან დაკავშირებით (26 აპრილი)

თითოეულზე 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

დ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულის ოჯახის წევრების დახმარებას 9 მაისის

დღესასწაულთან დაკავშირებით, თითოეულზე 100 (ასი) ლარის ოდენობით;

ე) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 1992-1993 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ, უგზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დახმარებას 26 მაისს (საქართველოს

დამოუკიდებლობის დღე) დღესასწაულთან დაკავშირებით თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

ვ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარებას- თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარი, აგვისტოს თვეში;

ზ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ ვეტერანების დახმარებას 17 ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით, თითოეულზე 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ფულადი დახმარება განხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზიდან.

პროგრამის აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი შედეგი

ვეტერანის სტატუსის დაფასება



|                                       |  |   |                                  |
|---------------------------------------|--|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | <b>ოჯახებისა და ბავშვების დახმარების პროგრამა</b> | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02 04   |   | 77,0                             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური   |   |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან :</p> <p>ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი).</p> <p>ყოველთვიური ფულადი დახმარება თითოეულ ბავშვზე 25 (ოცდახუთი) ლარი.</p> <p>სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახი (ორივე მშობელი და ბავშვები) რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები იყოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.</p> <p>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: მშობლების პირადობის მოწმობის ასლები; ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები და რეგისტრაციის ბარათები; განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.</p> <p>ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მარტოხელა მშობელი. ყოველთვიური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.</p> <p>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად ბავშვის ან ბავშვების დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლები; მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი ცნობა სამოქალაქო რეესტრიდან, ბავშვის რეგისტრაციის ბარათი და განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.</p> <p>გ) შვილის შეძენის შემთხვევაში ოჯახების ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარი. დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: მშობლების პირადობის მოწმობის ასლები; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი; ქალაქის და შესაბამისი სოფლის ამბულატორიის ოჯახის ექიმის ცნობა ბავშვის სამედიცინო აღრიცხვაზე აყვანის და ვაქცინაციის პირველი კურსის დასრულების შესახებ (სამედიცინო უკუჩვენების გათვალისწინებით) და განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.</p> |   |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი                    | ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესება   |   |                                  |

|                      |          |   |                                  |
|----------------------|----------|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი     | <b>სოციალური სერვისები- უფასო სასადილო, სოციალური სამრეცხაო</b> | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                      | 06 02 05 |   | 87,7                             |



|  |  |
|--|--|
| <p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p> | <p>ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური; საფინანსო საბიუჯეტო სამსახური.</p>  |
| <p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>            | <p>1.სოციალური სერვისი-„უფასო სასადილო.</p> <p>ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ტყიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის.</p> <p>ქვეპროგრამით ისარგებლებენ:</p> <p>ა)ბენეფიციარი, რომელიც აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა 0-დან 65 001-მდეა.</p> <p>ბ)მერი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის შესახებ, თუ მისი სარეიტინგო ქულა 65 001-ზე მეტია და მისი შემოსავალი ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად უზრუნველყოს მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება.</p> <p>უფასო კვება განხორციელდება არსებული სიის მიხედვით.</p> <p>ბენეფიციარად რეგისტრაციისთვის განცხადებასთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ასლი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.</p> <p>ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის რეგისტრაციიდან მოხსნის</p> <p>თაობაზე, თუ:</p> <p>ა) ბენეფიციარმა პირადი განცხადებით მომართა აღნიშნულის შესახებ;</p> <p>ბ)ბენეფიციარი თვის განმავლობაში ათი დღე არ სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით და აღნიშნული არ არის გამოწვეული საპატიო მიზეზით;</p> <p>გ) ბენეფიციარი გარდაიცვალა</p> <p>2.სოციალური სერვისი- „სოციალური სამრეცხაო“ მიზნად ისახავს უფასო სასადილოს ბენეფიციარებისთვის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას.</p> <p><b>სოციალური სამრეცხაო---3 000 ლარი</b></p> |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p>                    | <p>სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების საკვების ხელმისაწვდომობის და</p> <p>ჰიგიენური პირობების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p>   |

|                             |   |  |
|-----------------------------|---|--|
| <p>პროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი</p> <p><b>შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა ფულადი დახმარება და სარეაბილიტაციო კურსის</b></p> <p>06 02 06</p> <p><b>დაფინანსების პროგრამა</b></p> | <p>2021 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p><b>14.0</b></p> |
|-----------------------------|---|--|



|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამით ისარგებლებენ:</p> <p>ა) შშმ პირები (0-და 18 წლამდე) ერთჯერადი ფულადი დახმარება -თითოეულზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით;</p> <p>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; ბავშვის დაბადების ან პირადობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100; შესაბამისი სტატუსის დოკუმენტის ასლი; განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.</p> <p>ბ)ცერებრალური დამბლით დაავადებული (18 წლის ზევით) ერთჯერადი ფულადი დახმარება -თითოეულზე 300(სამასი) ლარის ოდენობით.</p> <p>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; ბენეფიციარის პირადობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100; შესაბამისი სტატუსის დოკუმენტის ასლი; განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.</p> <p>გ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება არაუმეტეს 1000( ერთი ათასი)ლარისა.</p> <p>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; ბავშვის დაბადების ან პირადობის ასლი; ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100; შესაბამისი სტატუსის დოკუმენტის ასლი; კალკულაცია.</p> <p>სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების შემთხვევაში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია ბენეფიციარზე გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღით. დაფინანსების გადარიცხვისთვის სამედიცინო დაწესებულებამ შესრულებული სამუშაო უნდა წარმოადგინოს სამედიცინო ჩარევის ჩატარებიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.</p> <p>დ) ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის(ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად სარეაბილიტაციო კურსის საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდეს არაუმეტეს 2000(ორი ათასი) ლარისა(კალკულაციის გათვალისწინებით).</p> |
| მოსალოდნელი შედეგი                    | <p>შშმ პირთა ოჯახების ფინანსური თანადგომის და სარეაბილიტაციო კურსის ჩატარების ხელშეწყობა.</p>   |

|                      |          |  |  |
|----------------------|----------|--|--|
| პროგრამის დასახელება | კოდი     | <p>ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა დახმარების პროგრამა</p> | <p>2021 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p><b>34.0</b></p> |
|                      | 06 02 07 |  |  |



|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ, ყოველთვიური დახმარება 120 (ასოცი) ლარის ოდენობით.</p> <p>დახმარების მისაღებად მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100; საბანკო ანგარიშის ნომერი.</p> <p>ბ) ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების მედიკამენტებისთვის ფულადი დახმარება კვარტალში ერთხელ თითოეულზე 100(ასი) ლარი.</p> <p>თანხის გაცემა მოხდება კვარტალის მეორე თვის 15 რიცხვამდე.</p> |
| მოსალოდნელი შედეგი                    | დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.  |

|                                       |   |  |                                  |
|---------------------------------------|---|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | სასკო ლ ო - საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02 08  |  | 6,3                              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური; საფინანსო საბიუჯეტო სამსახური.  |  |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამით ისარგებლებენ:</p> <p>ა) იძულებით გადაადგილებული პირების (რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე), შახტში დაღუპული და დაშავებულთა(ვისაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) და სოციალურად დაუცველი ოჯახების, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 20 001 ქულას, პირველი-მეექვსე კლასის მოსწავლეები.</p> <p>ბ) ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის(ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა.</p> |  |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი                    | სასკოლო-საკანცელარიო ნივთებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა   |  |                                  |

|           |  |                                  |
|-----------|--|----------------------------------|
| პროგრამის | კოდი   | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|           | 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარებისა |                                  |



| დასახელება                            | და შინმოვლის პროგრამა  |  |      |
|---------------------------------------|--|--|------|
|                                       | 02 06<br>09  |  | 45.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური; საფინანსო საბიუჯეტო სამსახური.   |  |      |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>პროგრამით ისარგებლებენ:</p> <p>ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 500(ხუთასი) ლარის ოდენობით; დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; საბანკო ანგარიშის ნომერი.</p> <p>ბ) შინ მოვლის პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულები. სერვისის მიზანია თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა. პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების ჰიგიენური და საცხოვრებელი პირობების მოწესრიგებას თვეში 4-ჯერ (სავალდებულო ვიზიტი კვირაში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში კვირაში 2-ჯერ) და ყოველთვიურად საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას, უფასო სასადილოს ბენეფიციარების გარდა.</p> <p>პროგრამაში ჩასართავად, მოქალაქემ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.</p> <p>განცხადების შეისწავლის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური და ინფორმაციას(აქტის სახით) წარუდგენს „ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სოციალური დახმარების გამცემ კომისიას“.</p> |  |      |
| მოსალოდნელი შედეგი                    | ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნის ხელშეწყობა  |  |      |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურების პროგრამა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|---|----------------------------------|
|                                       | 06 02 10   |   | 3,0                              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური                   |   |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირის ან ომის ვეტერანის რიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -300 ლარის |   |                                  |





|                    |   |
|--------------------|---|
|                    | ოდენობით  |
| მოსალოდნელი შედეგი | გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობა |

|                                       |  |  |                                  |
|---------------------------------------|--|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ხანძრის შედეგად დაზარალებული და მიმდებარე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარების პროგრამა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02 11   |  | 68,0                             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური; ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური   |  |                                  |
|                                       | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს:</p> <p>1) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პრევენციის მიზნით საცხოვრისით უზრუნველყოფას იმ პირების ოჯახების მიმართ, რომლებიც არიან სიღატაკის რისკის ქვეშ (არ აქვთ თავშესაფარი). საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნება ოჯახი, რომელიც დააკმაყოფილებს განსაზღვრულ კრიტერიუმებს. თითოეული კრიტერიუმი ფასდება შესაბამისი ქულით.</p> <p>ბენეფიციარის მოთხოვნა საცხოვრისით დაკმაყოფილდება, თუ მას კომისიის მიერ, შეკრებილობის პრინციპით, მიენიჭება 9(ცხრა) ქულა.</p> <p>ოჯახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თუ ოჯახის ქულა 65 001 ქულამდეა-კომისიის მიერ ფასდება 5(ხუთი)ქულით;</p> <p>ბ) სამედიცინო დოკუმენტის ფორმა N100(თუ ოჯახის წევრი ან წევრები არიან მუდმივად მწოლიარე, ან აქვს დარღვეული ფსიქიკური ფუნქცია, თუ ოჯახში არის შშმ პირი ან შშმ პირები)</p> <p>არსებობა კომისიის მიერ ფასდება 4(ოთხი) ქულით</p> <p>გ) თუ ბენეფიციარი მარტოხელა მშობელია-კომისიის მიერ ფასდება 4(ოთხი) ქულით</p> <p>დ) მრავალშვილიანი ოჯახები(4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) თითოეულ ბავშვს კომისია ანიჭებს 1(ერთი) ქულას.</p> <p>საცხოვრისით უზრუნველსაყოფად განცხადებასთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტაცია: განმცხადებლის და ოჯახის წევრების (არსებობის შემთხვევაში) პირადობის მოწმობის ასლები; სამედიცინო დოკუმენტი ფორმა N100 („ბ“ კრიტერიუმის შემთხვევაში); ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან; მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი („გ“</p> |  |                                  |



კრიტერიუმის შემთხვევაში); ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები („დ“ კრიტერიუმის შემთხვევაში); ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ბენეფიციარი ან მისი ოჯახის წევრები ფლობენ თუ არა ქონებას.

საცხოვრისით შესაძენად ფულადი დახმარება განისაზღვრება მაქსიმუმ 8 000(რვა ათასი) ლარი.

ე) ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად მოხდეს საცხოვრისის შექმნა, მაქსიმალური ზღვარი 12 000 (თორმეტი ათასი) ლარი, სულადობის გათვალისწინებით.

ანგარიშსწორება მოხდება მოძიებული ბინის მეპატრონის საბანკო ანგარიშზე.

ვ) უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართი) დარეგისტრირდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და სარგებლობის უფლებით გადაეცემა ოჯახს, რომელიც ვალდებული იქნება მოვლა-შენახვაზე.

2) ხანძრით ( მხოლოდ საცხოვრებელი სახლის, ბინის) დაზარალებული ოჯახები.

დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი ტყიბულის რაიონული სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა ზარალის ოდენობის შესახებ;

საბანკო ანგარიშის ნომერი. ხანძრით დაზარალებული ოჯახის დახმარება განისაზღვრება მაქსიმუმ 4 000 (ოთხი ათასი) ლარი.

3) მძიმე საცხოვრებელი პირობებში მყოფი ოჯახები, მხოლოდ საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში.

დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; საბანკო ანგარიშის ნომერი;

სოციალური დახმარების გამცემი კომისია განცხადებას განიხილავს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის ან/და შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ განფასების აქტის და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

ფულადი დახმარება არაუმეტეს 1500(ერთი ათას ხუთასი) ლარისა.

ხოლო, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად საცხოვრისის შექმნის საჭიროების შემთხვევაში „ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის ან/და შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ განფასების აქტის საფუძველზე, ფულადი დახმარება არაუმეტეს 2500(ორი ათას ხუთასი) ლარისა.

პროგრამის აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი შედეგი

ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა



| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | ონკო და ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|--|----------------------------------|
|                                       | 06 02 12   |  | 16,0                             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური   |  |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამით ისარგებლებენ:</p> <p>ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოდაავადებულები, ვისაც ესაჭიროებათ ქიმიოთერაპია და ჰორმონოთერაპია. დახმარების მისაღებად მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100; საბანკო ანგარიშის ნომერი.</p> <p>ბ) ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეები. დახმარების მისაღებად მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100; საბანკო ანგარიშის ნომერი.</p> <p>ფულადი დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 500(ხუთასი) ლარის ოდენობით.</p> |  |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი                    | საჭირო პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა   |  |                                  |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|--|----------------------------------|
|                                       | 06 02 13  |  | 74,6                             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური  |  |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამით ისარგებლებენ: მოქალაქე, რომელიც ვერ ისარგებლებს მუნიციპალური სოციალური პროგრამის რომელიმე პუნქტით და აქვს კრიზისული მდგომარეობა,</p> <p>ერთჯერადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა 200( ორასი) ლარი. სოციალურ საკითხთა</p> <p>განყოფილების და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე კონკრეტული საჭიროების მოსაგვარებლად.</p> |  |                                  |



განცხადებას განიხილავს სოციალური დახმარების გამცემი კომისია.

მოსალოდნელი შედეგი

კონკრეტული საჭიროების გადაწყვეტის ხელშეწყობა

|                                       |  |  |                                  |
|---------------------------------------|--|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | ეპილეფსიით და პარკინსონიზმით დაავადებულთა დახმარების ქვეპროგრამა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02 14   |  | 5,5                              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური   |  |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამით გაეწევით დახმარება იმ მოქალაქეებს, რომლებიც ვერ სარგებლობენ ქრონიკული დაავადების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით. დახმარება განისაზღვროს კვარტალურად 50(ორმოცდაათი) ლარი.</p> <p>თანხის გაცემა მოხდება კვარტალის მეორე თვის 15 რიცხვამდე (თებერვალი, მაისი, აგვისტო და ნოემბერი).</p> <p>დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100; საბანკო ანგარიშის ნომერი და ცნობა, რომ არ არის ჩართული ქრონიკული დაავადების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში.</p> |  |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი                    | ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მედიკამენტების შეძენაზე ფინანსური დახმარების გზით   |  |                                  |

|                                       |   |                              |                                  |
|---------------------------------------|---|------------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02 15  |                              | 12,0                             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური   |                              |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | ბავშვის უფლებათა კოდექსის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, რომელიც ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს ბავშვთა მხარდაჭერის ქვეპროგრამა. აქედან გამომდინარე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის |                              |                                  |



|                    |  |
|--------------------|--|
|                    | ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ზემოაღნიშნული ქვეპროგრამების გარდა, ბავშვის საჭიროების მოგვარებას მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. |
| მოსალოდნელი შედეგი | ბავშვის საუკეთესო ინტერესების მხარდაჭერის ხელშეწყობა   |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|---------------------------------------|----------------------------------|
|                                       | 06 03  |                                       | 20,0                             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური  |                                       |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ტყიბულის მუნიციპალიტეტის დონეზე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრიორიტეტულ მიმართულებებიდან დაუცველი მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერას, კატასტროფების რისკის შემცირებას და მასზე რეაგირებას ეთმობა. ტყიბულის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით გახსნილი ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი მუშაობს ორი მთავარი მიმართულებით: კატასტროფების მართვა და ახალგაზრდული ცენტრი.</p> <p>მიზანი: მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება მოხალისეთა შესაძლებლობებითა და ინტერესთა სფეროების გათვალისწინებით, საქმიანობათა ჯგუფების განვითარება.</p> <p>თაობებს შორის დისკუსიებისა და სხვადასხვა სახის უზრუნველყოფა „ხიდი თაობებს შორის ახალგაზრდების ინიციატივების ფარგლებში“.</p> <p>შეხვედრების ორგანიზება საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობისათვის საინტერესო საკითხების განსახილველად;</p> <p>სასწავლო ტრენინგები მოხალისეებისათვის პირველი დახმარების და კატასტროფების მართვის კუთხით;</p> <p>პროგრამის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ ტყიბულში მცხოვრები ახალგაზრდები, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეები, იძულებით გადაადგილებული პირები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები.</p> |                                       |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი                    | <p>შედეგად მიიღება: ინტეგრირებული საქმიანობის ცენტრი, რომელიც იმართება და აკმაყოფილებს ბენეფიციართა საჭიროებებს. ცენტრის მართვა ხორციელდება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით პერსონალის მოხალისეებისა და ბენეფიციარების მიერ.</p> <p>დატრენინგებული მობილური ჯგუფი კატასტროფებზე სწრაფი რეაგირებისათვის.</p>  |                                       |                                  |

| პროგრამის დასახელება | კოდი  | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|----------------------|-------|---|----------------------------------|
|                      | 06 04 |   | 5.0                              |
| პროგრამის            |       |   |                                  |



|                             |   |
|-----------------------------|---|
| განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური   |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>პროგრამის მიზანია: უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სატანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებას და აღმოფხვრას.</p> <p>განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებების და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.</p> |
| მოსალოდნელი შედეგი          | შედეგად მივიღებთ დისკრიმინაციისაგან დაცულ ოჯახებს.  |

**მუხლი 18. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები**

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

**თავი III  
ტყიბულის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 19. ბიუჯეტის ასიგნებები**

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება              | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის ფაქტი      |   |                      |                             |                      | 2021 წლის გეგმა             |                      |                             |           |  |
|-----------------|-------------------------|-----------------|----------------------|---|----------------------|-----------------------------|----------------------|-----------------------------|----------------------|-----------------------------|-----------|--|
|                 |                         |                 | მათ შორის            |   | სულ                  |                             | მათ შორის            |                             | სულ                  |                             | მათ შორის |  |
|                 |                         |                 | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |           |  |
|                 | ტყიბულის მუნიციპალიტეტი | 15,404.4        | 7,114.1              | 8,290.3   | 13,342.6             | 6,733.7                     | 6,608.9              | 15,764.0                    | 8,513.8              | 7,250.2                     |           |  |
|                 | მომუშავეთა რიცხოვნება   | 808.0           | 766.0                | 20.0  | 808.0                | 788.0                       | 20.0                 | 808.0                       | 788.0                | 20.0                        |           |  |
|                 | ხარჯები                 | 8,280.1         | 6,176.9              | 2,103.2   | 6,796.1              | 6,141.5                     | 654.6                | 9,716.7                     | 7,415.7              | 2,301.0                     |           |  |
|                 | შრომის ანაზღაურება      | 1,570.8         | 1,490.9              | 79.9  | 1,535.0              | 1,454.1                     | 80.9                 | 1,626.3                     | 1,545.6              | 80.7                        |           |  |
|                 | საქონელი და მომსახურება | 1,177.9         | 707.8                | 470.1   | 899.0                | 664.1                       | 234.9                | 1,594.2                     | 1,156.4              | 437.8                       |           |  |
|                 | პროცენტები              | 58.1            | 58.1                 | -   | 37.5                 | 37.5                        | -                    | 30.0                        | 30.0                 | -                           |           |  |
|                 | სუბსიდიები              | 3,306.0         | 3,236.1              | 69.9  | 3,364.4              | 3,286.5                     | 77.9                 | 3,756.1                     | 3,669.4              | 86.7                        |           |  |



|       |  |         |         |         |         |         |         |         |         |         |
|-------|--|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
|       | გრანტები   | 36.2    | 36.2    | -       | 10.1    | 10.1    | -       | 107.0   | 107.0   | -       |
|       | სოციალური უზრუნველყოფა   | 348.8   | 348.0   | 0.8     | 396.2   | 394.9   | 1.3     | 451.7   | 448.7   | 3.0     |
|       | სხვა ხარჯები   | 1,782.3 | 299.8   | 1,482.5 | 553.9   | 294.3   | 259.6   | 2,151.4 | 458.6   | 1,692.8 |
|       | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 7,124.3 | 937.2   | 6,187.1 | 6,488.5 | 534.2   | 5,954.3 | 5,989.2 | 1,040.0 | 4,949.2 |
|       | ვალდებულებები  | -       | -       | -       | 58.0    | 58.0    | -       | 58.1    | 58.1    | -       |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები                           | 2,328.0 | 2,202.5 | 125.5   | 2,185.8 | 2,101.2 | 84.6    | 2,605.3 | 2,518.3 | 87.0    |
|       | მომუშავეთა რიცხოვნება  | 131.0   | 102.0   | 7.0     | 131.0   | 124.0   | 7.0     | 131.0   | 124.0   | 7.0     |
|       | ხარჯები  | 2,282.5 | 2,176.1 | 106.4   | 2,106.5 | 2,022.4 | 84.1    | 2,502.9 | 2,415.9 | 87.0    |
|       | შრომის ანაზღაურება   | 1,570.8 | 1,490.9 | 79.9    | 1,535.0 | 1,454.1 | 80.9    | 1,626.3 | 1,545.6 | 80.7    |
|       | საქონელი და მომსახურება  | 505.2   | 478.7   | 26.5    | 429.1   | 425.9   | 3.2     | 620.8   | 614.5   | 6.3     |
|       | პროცენტები   | 58.1    | 58.1    | -       | 37.5    | 37.5    | -       | 30.0    | 30.0    | -       |
|       | სუბსიდიები   | 3.0     | 3.0     | -       | -       | -       | -       | 5.0     | 5.0     | -       |
|       | გრანტები   | 36.2    | 36.2    | -       | 10.1    | 10.1    | -       | 107.0   | 107.0   | -       |
|       | სოციალური უზრუნველყოფა   | 16.1    | 16.1    | -       | 13.3    | 13.3    | -       | 19.8    | 19.8    | -       |
|       | სხვა ხარჯები   | 93.1    | 93.1    | -       | 81.5    | 81.5    | -       | 94.0    | 94.0    | -       |
|       | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 45.5    | 26.4    | 19.1    | 21.3    | 20.8    | 0.5     | 44.3    | 44.3    | -       |
|       | ვალდებულებები  | -       | -       | -       | 58.0    | 58.0    | -       | 58.1    | 58.1    | -       |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2,322.9 | 2,197.4 | 125.5   | 2,183.9 | 2,099.3 | 84.6    | 2,578.6 | 2,491.6 | 87.0    |
|       | მომუშავეთა რიცხოვნება  | 131.0   | 102.0   | 7.0     | 131.0   | 124.0   | 7.0     | 131.0   | 124.0   | 7.0     |
|       | ხარჯები  | 2,277.4 | 2,171.0 | 106.4   | 2,104.6 | 2,020.5 | 84.1    | 2,476.2 | 2,389.2 | 87.0    |
|       | შრომის ანაზღაურება   | 1,570.8 | 1,490.9 | 79.9    | 1,535.0 | 1,454.1 | 80.9    | 1,626.3 | 1,545.6 | 80.7    |
|       | საქონელი და მომსახურება  | 500.1   | 473.6   | 26.5    | 427.2   | 424.0   | 3.2     | 602.1   | 595.8   | 6.3     |
|       | პროცენტები   | 58.1    | 58.1    | -       | 37.5    | 37.5    | -       | 30.0    | 30.0    | -       |



|          |                                    |         |         |      |         |         |     |         |         |   |
|----------|------------------------------------|---------|---------|------|---------|---------|-----|---------|---------|---|
